

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი) – ილია ხატიაშვილი

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება -

კომისიის დასახელება -

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრამდე

ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

*საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 18

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -

*კომისიის სხდომებზე დასწრება -

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -

*ფრაქციის სხდომებზე დასწრება -

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები -

ინიცირებულ საკითხებზე გამოიცა სამართლებრივი აქტები.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი.

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

ა) სოფ. ვაქირში სასაფლაოების „კოპალა“ და „კვირაცხოვლის“ კეთილმოწყობის სამუშაოები;

ბ) სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაქირის საჯარო სკოლის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 80 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 100-150.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

შევსების თარიღი: 31.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 31.10.2019 წელი

ხელმოწერა:



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის
ილია ხატიაშვილის ანგარიში 2018წ 1 ნოემბრიდან 2019 წლის 30 ოქტომბრამდე გაწეული
მუშაობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2017 წლის 20 ნოემბერს. ამ პერიოდიდან ვარ საკრებულოს თავმჯდომარე.

როგორც საკრებულოს წევრი და საკრებულოს თავმჯდომარე, ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური პროცესების მართვა, მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნება.

ვცდილობ საკრებულოში ყველა გადაწყვეტილება მიღებული იქნეს მოსახლეობის დაკვეთით, მათი ინტერესების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის საკრებულო არის ღია და გახსნილი ორგანო, სადაც ყველას მოქმედი კანონმდებლობითა და დემოკრატიული პრინციპების მაქსიმალური დაცვით შეუძლია, წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები, როგორც საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, ისე ზოგადად საკრებულოს მუშაობის შესახებ. მაქსიმალურად ვცდილობთ, უზრუნველვყოთ საზოგადოების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. (ინფორმაცია ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე.)

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოქალაქეებთან, რომელთაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოსვლა საკრებულოში და გაგვიზიარონ თავიანთი გულისტკივილი და პრობლემები. ისინი არ არიან შეზღუდული მიღების საათებით. ასევე მოვიარე ყველა ადმინისტრაციული ერთეული, შევხვდი უშუალოდ ხალხს და მათგან მოვისმინე არსებული პრობლემები. რაც ძირითადად ეხებოდა სოციალურ საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, სავარგულებში სადრენაჟე სარწყავი არხების დამონტაჟებას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარეგანათების მოწყობას.

ჩემთვის როგორც საკრებულოს წევრისთვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას ჩვენი მუნიციპალიტეტი. ეს იქნება ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, აქტიურად ვმონაწილეობ მათ განხილვასა და გადაჭრის გზების მოძიებაში

მეოთხე მოწვევის სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობა 2019 წლის განმავლობაში იყო ნაყოფიერი. საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან, ერთობლივი მუშაობით მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლის განხორციელება ხელს უწყობს მოსახლეობის

სოციალური-ეკონომიკურ განვითარებას. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კანონშემოქმედებით საქმიანობას სჭირდება პროცედურების მაქსიმალურად დაცვა და პუნქტუალობა, საკითხების მომზადებაში არამარტო დაინტერესებული მხარეების, არამედ საკრებულოს თითოეული წევრის მეტი ჩართულობა, რაც ამცირებს ხარვეზების და შეცდომების დაშვების შესაძლებლობას. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები როგორცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების პროგრამების დამტკიცება და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ საკრებულომ თავისი საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვნად სრულყო მუშაობა რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, ეს ეხება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ განხილვას, საკითხებზე შესაბამისი დასკვნების მომზადებას, ოქმების წარმოებას და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 18 სხდომა, ვესწრებოდი -18 ს.

მიმაჩნია, რომ განვილილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა.

31.10.2019 წ

ხელმოწერა:

